



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1304
13/07/2018

ქალაქი ბათუმი

1304-05-4-201807131622



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ორთაბათუმში მდებარე 1216 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 22.22.08.189) პრივატიზებაზე ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 12 ივლისის №09 დადგენილებით დამტკიცებული „თვითმმართველი ერთეულის-ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი“-ს, „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის №40 განკარგულების, „მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის №41 განკარგულებისა და მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ა. ბაჟაშვილის 2018 წლის 12 ივლისის №1976-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **გბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ორთაბათუმში მდებარე 1216 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ22.22.08.189) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.
2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ორთაბათუმში მდებარე 1216 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს 25000 (ოცდახუთათასი) ლარის ოდენობით.
3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/”ზე“ განისაზღვროს 7500 (შვიდიათასხუთასი) ლარის ოდენობით.
4. „ბიჯი“ განისაზღვროს 2500 (ორიათასხუთასი) ლარის ოდენობით.
5. აუქციონში გამარჯვებულმა ქონების გადასახადი უნდა გადაიხადოს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში.
6. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ორთაბათუმში მდებარე 1216 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზაციის შესახებ საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი სააუქციონო განცხადება (თან ერთვის).
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ქონების მართვის განყოფილებას (ა. ბაჟაშვილი) .
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა